



კოლეჯი ბარაკონი
1992 წლიდან

სასწავლო შინაგანაწესი

თბილისი
2023

თავი I. შესავალი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო, მიზნები

- შპს ბარაკონის (შემდგომში – „კოლეჯი“) სასწავლო შინაგანაწესი (შემდგომში – „შინაგანაწესი“) აწესრიგებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლის მხარესაც წარმოადგენს კოლეჯი, პროფესიული სტუდენტი და მსმენელი.
- შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, კოლეჯის წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა საფუძველზე.
- შინაგანაწესის მიზანია:
 - სწავლის დისციპლინის დაცვა;
 - სასწავლო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და კოლეჯის სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნა;
 - პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებებისა და თავისუფლების ხელშეწყობა;
 - ინიციატივების, საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურების განსაზღვრა;
 - დისციპლინის უზრუნველყოფა და დისციპლინის დარღვევის პრევენცია;
 - პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა წახალისება და წახალისების ფორმების განსაზღვრა;
 - ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.
- შინაგანაწესის შესრულების ვალდებულება ეკისრება ყველა პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს და ყველა იმ პირს, ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.
- კოლეჯი უზრუნველყოფს შინაგანაწესის დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის შესაძლებლობას.
- პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ წინამდებარე შინაგანაწესის ნორმათა დარღვევა გამოიწვევს კოლეჯის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას.

მუხლი 2. შინაგანაწესის მოქმედების სფერო

- შინაგანაწესი წარმოადგენს კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, მსმენელთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ შინაგანაწესის დებულებების დარღვევას მოყვება შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.
- მხარეთა მიერ ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს შინაგანაწესიდან განსხვავებული წესები, რაც არ უნდა აუარესებდეს პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის მდგომარეობას.
- ურთიერთობები, რომელიც არ წესრიგდება წინამდებარე შინაგანაწესით, რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

თავი II. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირად საქმეს აწარმოებს კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე მოიცავს:

ა) პირად (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადებას;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ¹) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლს და დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და/ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

ბ²) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლს და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანს;

გ) კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანს/ ასლს ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს (საბაზო განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლს, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე ან ცნობას შესაბამისი სწავლის საფეხურის დაძლევის შესახებ;

გ¹) შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემულ დოკუმენტს - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას;

დ) ფოტოსურათს;

ე) მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას;

ვ) დისციპლინის დარღვევის ან/და წახალისების ზომის გამოყენების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ზ) ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებებსა და მოვალეობებთან.

2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირად საქმეში მოთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას (გარდა უშუალოდ დედნის სახით წარმოდგენილი დოკუმენტისა) და რჩება კოლეჯში.

თავი III. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კანონიერ წარმომადგენლთა უფლება- მოვალეობანი

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა უფლებაები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი განათლება;

ბ) მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

გ) მოითხოვოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

- დ) მოითხოვოს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-სა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;
- ე) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და არამართლზომიერი ქმედება;
- ვ) თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი;
- ზ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- თ) მოითხოვოს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
- ი) მიიღოს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესახებ;
- კ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება სპეციალური კითხვარის მეშვეობით;
- მ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ;
- ნ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, მოდულების, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;
- ო) გამოიყენოს შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად;
- პ) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- ჟ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად;
- რ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოსთხოვოს კოლეჯს საკუთარი განათლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ;
- ს) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 5. მსმენელთა უფლებები

1. მსმენელს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
- გ) მოითხოვოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- დ) მოითხოვოს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-სა და პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის შესაბამისად;
- ე) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და არამართლზომიერი ქმედება;
- ვ) თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი;
- ზ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- თ) მოითხოვოს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
- ი) მიიღოს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესახებ;
- კ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით;

- ლ) საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება სპეციალური კითხვარის მეშვეობით;
- მ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ;
- ნ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;
- ო) გამოიყენოს შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად;
- პ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მოვალეობები

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
 - ა) იცნობდეს კოლეჯის შინაგანაწესს, დადგენილ წესებს და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად განუხრელად იცავდეს მათ;
 - ბ) პატივისცემით მოექცეს პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს;
 - გ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, ხოლო მისი ბრალეული ქმედებით დაზიანების შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
 - დ) არსებობის შემთხვევაში, დროულად და შესაბამის საბანკო ანგარიშზე კოლეჯის მიერ დადგენილი გრაფიკით, გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე სხვა ფინანსური დავალიანება და კოლეჯს დაუყოვნებლივ წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ე) უმიზეზოდ არ დააგვიანოს და არ გააცდინოს ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები/ ტრენინგ-კურსები;
 - ვ) დაიცვას უსაფრთხოების წესები;
 - ზ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
 - თ) ჰქონდეს მოწესრიგებული იერსახე, ჩაიცვას საქმიანად, სასწავლო ატმოსფეროს შესაფერისად;
 - ი) დროულად აცნობოს კოლეჯს პირად დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ;
 - კ) გაუფრთხილდეს კოლეჯის პრესტიჟს;
 - ლ) შეასრულოს პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რაც შესაძლებელია არ იყოს გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მაგრამ გამომდინარეობდეს საგანმანათლებლო მიზნებიდან;
 - მ) დაემორჩილოს და შეასრულოს წინამდებარე შინაგანაწესითა და კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 7. კანონიერი წარმომადგენლის უფლებები

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:
 - ა) მოითხოვოს სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
 - ბ) მიიღოს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და კოლეჯის ადმინისტრაციისგან კოლეჯის ფუნქციონირებასა და პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
 - გ) მიიღოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ და მოითხოვოს მათი კონფიდენციალურობის დაცვა;

- დ) მოსთხოვოს კოლეჯს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ე) გაასაჩივროს მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება;
- ვ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 8. კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობები

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:
- ა) რეგულარულად აკონტროლოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სასწავლო პროცესში ჩართულობა და ხელშეკრულებით პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისათვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება;
 - ბ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ პროგრამის შეუფერხებლად ათვისების მიზნით აღმოფხვრას მასზე დამოკიდებული ყველა დამაბრკოლებელი გარემოება;
 - გ) არსებობის შემთხვევაში, დროულად და შესაბამის საბანკო ანგარიშზე კოლეჯის მიერ დადგენილი გრაფიკით, გადაიხადოს სწავლის საფასური;
 - დ) ითანამშრომლოს და მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს კოლეჯში;
 - ე) აანაზღაუროს კოლეჯისთვის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანი;
 - ვ) კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
 - ზ) სწავლის საფასურის გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
 - თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შორის სასწავლო ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

მუხლი 9. კოლეჯის უფლებები და ვალდებულებები

1. კოლეჯი ვალდებულია:
- ა) შექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება-გადამზადების პროგრამის ათვისების, პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებისათვის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მომზადებისა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემო და პირობები;
 - ბ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასება. არ დაუშვას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აკადემიური შეფასება მისი დისციპლინის მიხედვით;
 - გ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა;
 - დ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად ათვისების მიზნით აღმოფხვრას მასზე დამოკიდებული ყველა დამაბრკოლებელი გარემოება;
 - ე) დაიცვას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი კოლეჯის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის, შეურაცხყოფისა და უყურადღებობისაგან;
 - ვ) პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შესთავაზოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;

- ზ) პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს პერიოდულად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესახებ და თავადაც განახორციელოს მუდმივი კონტროლი ყველა მათგანის შესრულებაზე;
- თ) დროულად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირება სასწავლო პროცესთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ი) პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გასცეს შესაბამისი დიპლომი;
- კ) მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის, ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში, მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ობიექტები და აწარმოოს მათთან მოლაპარაკებები, მათ შორის პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი ძალებით მოძიებულ პარტნიორ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან;
- მ) განახორციელოს ყველა ის საქმიანობა, რაც გამომდინარეობს წინამდებარე შინაგანაწესით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დისციპლინური გადაცდომა

- 1. დისციპლინურ გადაცდომად განიხილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემდეგი ქმედება:
 - ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხელისშემლა, ან სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობა;
 - ბ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, კოლეჯის თანამშრომლის, კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი უცხო პირის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა;
 - გ) ლექციაზე/პრაქტიკულ მეცადინეობაზე არასაპატიო დაგვიანება;
 - დ) ლექციაზე/პრაქტიკულ მეცადინეობაზე უცხო პირის მოყვანა;
 - ე) ლექციის/პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობისას კოლეჯის ადმინისტრაციის/ პროგრამის განმახორციელებელი პირების თანხმობის გარეშე ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გაკეთება;
 - ვ) ლექციის/პრაქტიკული მეცადინეობის დროს კოლეჯის ტერიტორიის დატოვება თვითნებურად;
 - ზ) კოლეჯის თანამშრომლის ნებართვის გარეშე კოლეჯის ტექნიკის გამოყენება;
 - თ) კოლეჯისათვის მატერიალური ზარალის მიყენება ან ასეთი ზარალის საფრთხის შექმნა;
 - ი) ჩხუბი და ჭიდაობა კოლეჯის შენობაში და მის ტერიტორიაზე;
 - კ) უსაფრთხოების წესების დარღვევა;
 - ლ) თამბაქოს მოხმარება კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე;
 - მ) კოლეჯში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება;
 - ნ) კოლეჯის ტერიტორიაზე ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება;
 - ო) ასაფეთქებელი ნივთიერებების (მაშხალა, შუშხუნა) კოლეჯის ტერიტორიაზე შემოტანა და აფეთქება, რომელთა რეალიზაცია კანონით არ იკრძალება;

- პ) ნარკოტიკული ან/და ალკოჰოლური ან მისი შემცველი საშუალებების კოლექში მოტანა/გავრცელება/მოხმარება;
- ჟ) კოლექში პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის შეუფერებელი იერსახითა და სამოსით გამოცხადება. კერძოდ:
- ჟ.ა) სამოსით, რომელზეც დატანილია შეურაცხმყოფელი ან პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსისათვის შეუფერებელი ნახატი/წარწერა/კარიკატურა;
 - ჟ.ბ) სამოსით, რომელიც რეკლამას ან აგიტაციას უწევს პოლიტიკურ პარტიას;
 - ჟ.გ) სამოსით, რომელიც რეკლამას ან აგიტაციას უწევს კანონით აკრძალულ ქმედებას;
 - ჟ.დ) სამოსით, რომელიც რეკლამირებას უკეთებს ისეთი ნივთიერებების გამოყენებას, როგორცაა თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკი.
- რ) შეფასების დროს გადასაწერი მასალის (ე.წ. "შპარგალკა") გამოყენება;
- ს) შეფასების მიმდინარეობისას სხვა პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის დახმარების გაწევა;
- ტ) სტენდზე გაკრული განცხადებების დაზიანება (ჩამოხვევა, ჩამოხსნა, დაწვა), რითიც ხელი შეუშალა თანამშრომლებისთვის ან/და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის გავრცელებას;
- უ) კოლექის ტერიტორიის დაბინძურება;
- ფ) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
- ქ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.
2. დისციპლინურ პასუხისმგებლობას ექვემდებარება ამ მუხლში ჩამოთვლილი დისციპლინური ქმედებების ჩადენა და მათ შორის, მათი ჩადენის მცდელობა.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება ხორციელდება წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.
4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინური დევნა ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სასწავლო დროისაგან თავისუფალ დროს კოლექის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კოლექს აქვს დასაბუთებული კანონიერი ინტერესი.
5. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მის კანონიერ წარმომადგენელს.
6. დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში პირი, რომელმაც იგი გამოავლინა კოლექის დირექტორის სახელზე წერს სამსახურებრივ ბარათს და აღწერს ქმედებას, შესაბამისი დროის, თარიღისა და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხების მითითებით.
7. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პროფესიული სტუდენტი ფლობს კანონით აკრძალულ ნივთს, კოლექი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები და ინფორმაცია მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 11. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
- ა) შენიშვნა;
 - ბ) გაფრთხილება
 - გ) საყვედური;
 - დ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.

2. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.
3. შენიშვნა პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მიეცემა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში, ან/და შინაგანაწესის მე-10 მუხლის 1. პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ვ“, „ზ“, „ჟ“, „რ“, „ს“, „უ“, „ფ“ ქვეპუნქტების დარღვევისას.
4. გაფრთხილება პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მიეცემა მე-10 მუხლის 1. პუნქტის „ბ“, „ე“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „ო“, „ტ“ ქვეპუნქტების უხეში დარღვევისას და იმ წესების განმეორებითი დარღვევისთვის, რაზედაც მას ადრე მიეცა შენიშვნა.
5. საყვედური პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მიეცემა გაფრთხილებისა და შენიშვნის, ან ორი გაფრთხილების მიღების შემთხვევაში.
6. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ზომა - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა იმ შემთხვევაში თუ:
 - ა) პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მიღებული აქვს ორი საყვედური.
 - ბ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დარღვეულ იქნა მე-10 მუხლის 1. პუნქტის „მ“, „ნ“, „ო“ ქვეპუნქტები, ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უწყდება სტუდენტის სტატუსი მიუხედავად იმისა, გამოყენებული იყო თუ არა, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა.
7. პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს.
8. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ აღნიშვნა კეთდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირად საქმეში.

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის გაქარწყლება

1. თუ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ორი თვის განმავლობაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

თავი V. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა წახალისება

მუხლი 13. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა წახალისების ფორმები

1. სანიმუშო ყოფაქცევის, სასწავლო პროცესში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის, კოლეჯის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ პროგრამის განმახორციელებელ პირთა მიმართ ჩადენილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქმედებისათვის წესდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისების შემდეგი ფორმები:
 - ა) მაძლობის გამოცხადება;
 - ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
 - გ) უფასო ექსკურსიის ორგანიზება;
 - დ) კულტურულ-საგანმანათლებლო ან/და სპორტულ ღონისძიებაში ჩართვა;
 - ე) პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის რეკომენდაციების გაწევა დასაქმების მიზნით.
2. სოციალურად დაუცველი პირებისთვის, შესაძლებელია დაწესდეს წახალისების შემდეგი ფორმა:
 - ა) სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი.

- პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, რომლის მიმართაც წახალისების ფორმად გამოყენებული იქნება მადლობის გამოცხადება, გადაეცემა მადლობის სიგელი, რომლის ფორმაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- საანგარიშო წლის განმავლობაში ფასიანი საჩუქრების ჯამური ღირებულება ერთ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.
- შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისებაზე წარდგენა და წახალისება

- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს, თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით.
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:
 - მადლობის გამოცხადება, ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ან/და უფასო ექსკურსიის ორგანიზება, ან/და კულტურულ-საგანმანათლებლო ან/და სპორტულ ღონისძიებაში ჩართვა, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლეჯის დირექტორის მიერ, თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის ან/და საკუთარი ინიციატივით;
 - დირექტორის გადაწყვეტილებით, სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი დაუწესდება სოციალურად დაუცველ პირს, რომელსაც მიენიჭება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსი და სწავლობს თვითდაფინანსებით.
- წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენება შემდგომში არ ზღუდავს დისციპლინური გადაცდომისას სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისების შესახებ ინფორმაცია, საზოგადოებას მიეწოდება სიტყვიერად (გამოცხადებით), კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე, კოლეჯის ვებ-გვერდზე ან/და კოლეჯის Facebook გვერდზე განთავსებით.

თავი VI. კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილება

მუხლი 15. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, ასევე, მისამე პირთა ქცევისა და გადაადგილების წესები

- კოლეჯში უცხო პირთა შესვლა–გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ კოლეჯის დირექციასთან შეთანხმებით, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად.
- კოლეჯის ტერიტორიაზე აკრძალულია:
 - ხმაური და მუშაობისათვის ან/და ლექციისთვის/პრაქტიკული მეცადინეობისთვის სხვაგვარი ხელისშეშლა;
 - აზარტული თამაშები, ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებების და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ან სპეციალური ნებართვის გაცემით განსაზღვრული ნივთების (გარდა სამედიცინო დანიშნულების ნივთებისა), აგრეთვე პოლიტიკური და რელიგიური სააგიტაციო, სარეკლამო ფურცლების შემოტანა და გავრცელება;
 - პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა;

- დ) ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შემოსვლა-გადაადგილება;
- ე) თამბაქოს მოხმარება.
- 3. ქვევის წესების დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს მიიღოს საჭირო ზომები დამრღვევის მიმართ, ხოლო თუ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან/და დანაშაულის ნიშნებს, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დირექტორს.

თავი VII. ინიციატივებისა და საჩივრების წარდგენა

მუხლი 16. ინიციატივების წარდგენის პროცედურა

1. პროფესიულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს/მსმენელს/მსმენელებს უფლება აქვს განცხადებით/ინიცირებით მიმართოს კოლეჯს და მოითხოვოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება/დაფინანსება.
2. განცხადება უნდა მოიცავდეს პირველი განმცხადებლის ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, თარიღს და ინიციატივას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3. დირექტორს ფინანსურ მენეჯერთან ერთად განხილვისთვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის ეძლევა 10 დღიანი ვადა. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს/ინიციატორთა ჯგუფს ეცნობება არგუმენტირებული უარი.
4. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, კოლეჯის დირექტორს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია.
5. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია ღონისძიების მომწყობი, რომელიც ინიციატივის საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს.
6. განსახორციელებელი ღონისძიება ანონსის სახით თავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ (Facebook) გვერდზე.

მუხლი 17. საჩივრის განხილვის პროცედურა

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს) შეუძლია საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. საჩივარი შესაძლოა იყოს წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
3. პრობლემური საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე და მის გადასაჭრელად საკითხი შესაძლოა განხილულ იქნას კოლეგიურად. საკითხის განხილვის შედეგად თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

თავი VIII – პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირების წესი

მუხლი 18. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირება

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად იღებს დირექტორის მოადგილისგან, პროგრამის კოორდინატორისგან, პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან/პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროგრამის განმახორციელებლებისგან.
2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება კონფიდენციალურობის დაცვით.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, მას გაეწევა დამატებითი კონსულტაცია.
4. სწავლის დაწყების მომენტიდან ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სასწავლო წლის დასაწყისში, დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის ვებგვერდსა და Facebook გვერდს. ვებგვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და მათ უფლება-მოვალეობებს.
5. სასწავლო წლის დასაწყისში, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უტარდებათ ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟი. უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარდებათ ინსტრუქტაჟი სასწავლო პროცესის განმავლობაში. სასწავლო ლაბორატორიაში შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, ასევე აცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.
6. დირექტორის მოადგილე პროგრამის კოორდინატორთან ერთად, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, უწევს კონსულტირებას საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის წინ.
7. კოლეჯი ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს.
8. განსახორციელებელი ღონისძიება ანონსის სახით თავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე Facebook გვერდზე.
9. კოლეჯის მიერ, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სწავლების პროცესში გამოიყენება სოციალურ ქსელის (Facebook) ჯგუფები.
10. ყოველი კონკრეტული მიღებისთვის შექმნილ ჯგუფში წევრიანდება პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები.
11. სოციალური ქსელის ჯგუფში ხორციელდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის განთავსება: სალექციო განრიგი, სასწავლო რესურსები, ელექტრონული სწავლებისას შეხვედრის ბმულები და სხვა.
12. ყოველი კონკრეტული მიღებისთვის, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის იქმნება ელექტრონული ფოსტების მისამართების სია, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მითითებული ელექტრონული ფოსტების საფუძველზე.
13. პროფესიული სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ან სოციალური ქსელის ან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მითითებული ელექტრონული

ფოსტის მეშვეობით.

14. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე გამომდინარეობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციისგან „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა“.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი

1. შინაგანაწესის ან მასში ცალკეული მუხლების ცვლილება ხორციელდება საჭიროების შემთხვევაში (არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ან/და სხვა).
2. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი, შეიძლება დააყენოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და კოლეჯის დირექტორმა.
3. შინაგანაწესი ან ინფორმაცია მასში ცვლილებების შეტანის შესახებ ქვეყნდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მუხლი 20. შინაგანაწესის ამოქმედება

შინაგანაწესი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.